პრეზიდენტი თომას ს. მონსონის მიერ

მორჩილებას ლოცვა-კურთხევები მოაქვს

ჭეშმარიტების ცოდნა და ჩვენი საუკეთესო კითხვებზე პასუხები მოდის ჩვენთან მაშინ, როცა მორჩილნი ვართ ღვთის მცნებების მიმართ.

ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, რაოდენ მადლიერი ვარ ვიყო დღეს თქვენთან ერთად ამ დილით. მე მჭირდება თქვენი რწმენა და ლოცვები იმ დროს, როცა ვიყენებ ამ პრივილეგიას – მოგმართოთ სიტყვით.

საუკუნეების განმავლობაში ქალები და მამაკაცები ეძებდნენ, ამ მიწიერი არსებობის და მათი ამ ცხოვრებაში ადგილისა და დანიშნულების შესახებ ცოდნას და გაგებას, ასევე მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების ხერხს. ასეთ ძიებას ყოველი ჩვენთაგანი აწარმოებს.

ეს ცოდნა და გაგება მთელი კაცობრიობისთვის არის მისაწვდომი. იგი მარადიული ჭეშმარიტების წყაროში არის მოთავსებული. მოძღვრება და აღთქმების 1 ნაწილის 39 მუხლში, ჩვენ ვკითხულობთ, რომ უფალი არის ღმერთი, სულიწმინდა ადასტურებს ამას და ეს დასტური არის ჭეშმარიტი; ჭეშმარიტება კი მოლოდინშია აწ და მარადის.

ცნობილმა პოეტმა დაწერა:

მორს ზეცის სიღრმეში
დედამიწიდან ამოაფრქვევს
შადრევანი,
ჭეშმარიტება, არსებობის
მიზანი, იქნება აღმოჩენილი,
მარადიული და ყოველთვის
უცვლელი.[1]

ზოგიერთი შეგვეკითხება: „სად მოიპოვება ასეთი ჭეშმარიტება და როგორ ამოვიცნოთ იგი?“ ხილვაში, რომელიც ჰქონდა წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითს 1833 წლის მაისში, კირთლანდ ოჰაიოში, უფალმა გამოაცხადა:

„ჭეშმარიტება არის ცოდნა არსის, რაც არის, იყო და იქნება;“ . . .. . .

„ჭეშმარიტების სული ღმერთისგან არის. . . .

„და ადამიანი მთლიანად ვერ ჩაწვდება ჭეშმარიტებას, იქამდე, სანამ არ დაიცავს მცნებებს.“

„ის, ვინც იცავს მცნებებს, მიიღებს ჭეშმარიტებასა და სინათლეს, სანამ ის არ განდიდდება ჭეშმარიტებაში და არ ეცოდინება ყველაფერი.”[2]

რა დიდებული დაპირებაა! „ის, ვინც იცავს მცნებებს, მიიღებს ჭეშმარიტებასა და სინათლეს, სანამ ის არ განდიდდება ჭეშმარიტებაში და არ ეცოდინება ყველაფერი.”

ამ დროში, როცა ამდენი ცოდნა გაგვაჩნია, როცა სახარების სისრულე იქნა აღდგენილი, არც მე და არც თქვენ არ გვჭირდება ჭეშმარიტების ძიებისთვის უცნობი გეზით სიარული. მოსიყვარულე მამაზეციერმა დაგვისახა კურსი და მიგვიჩინა უტყუარი მეგზური – მორჩილება. ჭეშმარიტების ცოდნა და ჩვენი საუკეთესო კითხვებზე პასუხები მოდის ჩვენთან მაშინ, როცა მორჩილნი ვართ ღვთის მცნებების მიმართ.

ჩვენ ცხოვრების განმავლობაში ვსწავლობთ მორჩილებას. ადრეული ასაკიდან ისინი, ვინც ჩვენს აღზრდაზე არიან პასუხისმგებელნი, გვისახავენ ჩვენი უსაფრთხოებისთვის საჭირო წესებსა და მითითებებს. ცხოვრება ყველას გაგვიადვილდებოდა, ამ წესებისადმი სრულიად მორჩილნი ვყოფილიყავით. თუმცა მრავალი ჩვენთაგანი გამოცდილებიდან სწავლობს მორჩილების სიბრძნეს.

ბავშვობაში ყოველ ზაფხულს, ივლისიდან სექტემბრის დასაწყისამდე, ჩვენი ოჯახი იუტაში, პროვოს კანიონის ვივიან პარკში მდებარე ქოხში ისვენებდა.

იმ უზრუნველ დღეებში ქოხში ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო დენი ლარსენი. მის ოჯახსაც ჰქონდა ქოხი ვივიან პარკში. ყოველ დღე მე და დენი ამ სამოთხეში ვსეირნობდით, ვთევზაობდით, ვაგროვებდით კენჭებსა და სხვა განძეულობას, ვლაშქრავდით მთებს და უბრალოდ ვტკბებოდით ყოველი დღის ყოველი წუთით.

ერთხელ დილით მე და დენიმ გადავწყვიტეთ, საღამოს შეგვეკრიბა კანიონის ყველა ჩვენი მეგობარი და ცეცხლი დაგვენთო. ამისთვის ახლომდებარე არემარე უნდა გაგვესუფთავებინა. ივნისის ბალახი უკვე გამხმარი და ეკლიანი იყო, ასე რომ, ჩვენი გეგმისთვის ეს ხელის შემშლელი ფაქტორი იყო. ჩვენ დავიწყეთ ბალახის გაგლეჯვა, გვინდოდა დიდი მომრგვალო ადგილის გასუფთავება. ჩვენ მთელი ძალითა და ღონით ვაძრობდით მაღალ ბალახს, მაგრამ, რასაც ვახერხებდით იყო ის, რაც ჯიუტი სარეველისგან მუჭში გვრჩებოდა. ჩვენ ვიცოდით, რომ გასუფთავებას მთელი დღე დასჭირდებოდა, ჩვენი ენერგია და ენთუზიაზმი კი კლებულობდა.

შემდეგ მე ჩემი რვა წლის ასაკის კვალობაზე გენიალური იდეა მომივიდა თავში; მე ვუთხარი დენის: „მოდი უბრალოდ ცეცხლი წავუკიდოთ ამ ბალახს. ასე სარეველაში ჩვენ წრეს *ამოვწვავთ*!“ იგი სიხარულით დამეთანხმა, მე კი ქოხში გავიქეცი ასანთის მოსატანად.

ეჭვი რომ არავის არ შეგეპაროთ გეტყვით, რომ რვა წლის ასაკში მეც და დენისაც აკრძალული გვქონდა უფროსების გარეშე ასანთის ხმარება. ორივენი არა ერთხელ გაგვაფრთხილეს ცეცხლის საშიშროების შესახებ. მაგრამ ჩვენ მინდორი უნდა მოგვემზადებინა და მე ვიცოდი, სად იდო ასანთი. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მე ქოხისკენ გავიქეცი და რამოდენიმე ასანთის ღერი ავიღე, ისე, რომ ეს არავის არ ენახა და სწრაფად ჩავიდე ჯიბეში.

მე ისევ დენისთან მივირბინე, გახარებულმა იმით, რომ ჯიბეში პრობლემის გადაწყვეტის საშუალება მედო. მე მახსოვს, მაშინ ვფიქრობდი, რომ ცეცხლი მხოლოდ იმდენს დაწვავდა, რამდენიც ჩვენ გვჭირდებოდა და მერე რაღაცნაირად თავისით ჩაქრებოდა.

მე ასანთის ღერი ქვას გავკარი და შეტრუსული ივნისის ბალახი ავაპრიალე. ის ისე აალდა, თითქოს ბენზინით იყო გაჟღენთილი. თავიდან მე და დენი მღელვარებით შევცქეროდით, თუ როგორ ნადგურდებოდა სარეველა, მაგრამ მალე ცხადი გახდა ის, რომ ცეცხლი თავისით არ ჩაქრებოდა. როცა მივხვდით, რომ ჩვენ მას ვერ გავაჩერებდით, პანიკაში ჩავცვივდით. საშიში ცეცხლი ველურ ბალახს მიჰყვებოდა და მთაზე ადიოდა, საშიშროება ექმნებოდა ფიჭვებსა და ყველაფერს, რაც გზაში შეხვდებოდა.

ბოლოს ერთი გამოსავალი დაგვრჩა –გვეთხოვა დახმარება. სულ მალე ვივიენ პარკში მყოფი ყოველი ადამიანი წინ და უკან დარბოდა სველი ტომრებით და ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა. რამოდენიმე საათის შემდეგ ბოლო კერები ჩაქრა. საუკუნოვანი ფიჭვნარი გადარჩა, ასევე გადარჩა სახლები, რომლებამდეც ცეცხლი აუცილებლად მიაღწევდა.

იმ დღეს მე და დენიმ რამოდენიმე რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი გაკვეთილი ვისწავლეთ, მათ შორის მორჩილების მნიშვნელობა.

არსებობს ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონები და წესები. ამის მსგავსად უფალმა უზრუნველჰყო მითითებები და მცნებები, რომლებიც გვეხმარებიან სულიერი უსაფრთხოების შენარჩუნებაში, რათა შევძლოთ ამ ხშირად ვერაგული მიწიერი არსებობის გზაზე მოგზაურობა და ბოლოს და ბოლოს დავბრუნდეთ ჩვენს მამა ზეციერთან.

საუკუნეების წინ, სამუელმა ღიად განუცხადა თაობას, რომელიც მიჩვეული იყო ცხოველთა მსხვერპლშეწირვას, რომ მორჩილება მსხვერპლს ჯობია, შესმენა კი –ვერძის ქონს.[3]

ამ წყობაში უფალმა განუცხადა წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითს, რომ იგი მოითხოვს ადამიანებისგან „გულსა და დამყოლ აზროვნებას; და რომ მზადმყოფნი და მორჩილნი შეჭამენ სიონის მიწის სიკეთეს ამ უკანასკნელ დღეებში.“[4]

ყველა ძველი და თანამედროვე დროის წინასწარმეტყველმა იცოდა, რომ მორჩილება ჩვენს გადასარჩენად აუცილებელია. ნეფიმ განაცხადა, რომ წავიდოდა და გააკეთებდა იმას, რაც მას უფალმა უბრძანა.[5] მაშინ, როცა სხვები რწმენაშა ა მორჩილებაში მერყეობდნენ, ნეფი არც ერთხელ არ დაეჭვებულა იმაში, რომ ეკეთებინა ის, რასაც მისგან უფალი მოითხოვდა. ამის შედეგად უთვალავი თაობა დაილოცა.

სულის ამაფორიაქებელი მორჩილების მაგალითია აბრაამი და ისაკი. რაოდენ მტკივნეული და ძნელი უნდა ყოფილიყო აბრაამისთვის ღვთის ბრძანებისთვის დამორჩილების გამო წაეყვანა საყვარელი შვილი, ისაკი, მორიას მიწაზე და მსხვერპლად შეეწირა იგი. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ აბრაამის გულის სიმძიმე მაშინ, როცა იგი დანიშნულ ადგილას მიეშურებოდა? რა თქმა უნდა, მისი სხეული და გონება იტანჯებოდა, როცა მან გაკოჭა ისაკი, დააწვინა იგი საკურთხეველზე და დანა აიღო მის მოსაკლავად. ურყევი რწმენით და უფლისადმი სრული ნდობით, მან უპასუხა

უფლის ბრძანებას. რა დიდებული იყო განცხადება და რა სიხარულის მომგვრელი: „არ აღმართო შენი ხელი ამ ყრმაზე და არაფერი უყო მას, რადგან ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ და არ დაზოგე ჩემთვის შენი ძე, შენი ერთადერთი.“[6]

აბრაამი გამოსცადეს და მისი მორჩილებისა და ერთგულებისთვის უფალმა მისცა მას ეს დიდებული დაპირება: „და იკურთხება შენი შთამომავლობით დედამიწის ყოველი ხალხი, რადგან ისმინე ჩემი ხმა.”[7]

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან არ მოითხოვება ასეთი დრამატული და მტკივნეული გზით მორჩილების დამტკიცება, ჩვენ მაინც მორჩილება მოგვეთხოვება.

პრეზიდენტმა ჯოზეფ ფ.სმითმა 1873 წ. ოქტომბერში განაცხადა: „მორჩილება არის ზეცის პირველი კანონი.”[8]

პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ ბრძანა: „უკანასკნელი დღეების წმინდანთა ბედნიერება, უკანასკნელი დღეების წმინდანთა სიმშვიდე, უკანასკნელი დღეების წმინდანთა წინსვლა, უკანასკნელი დღეების წმინდანთა აყვავება და ამ ხალხის მარადიული ხსნა და ამაღლება, მოიპოვება ღვთის რჩევების მიმართ მორჩილებაში.“[9]

მორჩილება არის წინასწარმეტყველების დამახასიათებელი თვისება: საუკუნეების მანძილზე ის მათი ძალისა და ცოდნის წყარო იყო. ჩვენთვის აუცილებელია გავიაზროთ, რომ ჩვენც გვაქვს უფლება მივიღოთ ამ წყაროდან ძალა და ცოდნა. ეს ჩვენთვის ადვილად მისაწვდომია, თუკი ვიცავთ ღვთის მცნებებს.

წლების მანძილზე გავიცანი უამრავი ხალხი, რომლებიც განსაკუთრებულად ერთგულნი და მორჩილნი იყვნენ. მე მათ შთამაგონეს და დამლოცეს. ნება მიბოძეთ, გაგიზიაროთ ორი ასეთი პიროვნების მაგალითი.

უოლტერ კრაუსი იყო ეკლესიის ერთგული წევრი, რომელიც ოჯახთან ერთად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცხოვრობდა, ე.წ. აღმოსავლეთ გერმანიაში. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მაგ ადგილას თავისუფლების ნაკლებობა იგრძნობოდა და ამის გამო სირთულეები გაჩნდა, ძმა კრაუსი იყო ადამიანი, რომელსაც უყვარდა უფალი და ემსახურებოდა მას. იგი ერთგულად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ყოველ დავალებას.

მეორე ადამიანი, იოჰან დენდორფერი, წარმოშობით უნგრელი, გერმანიაში გაწევრიანდა. იგი 1911 წ. 17 წლის ასაკში მოინათლა. მალე იგი უნგრეთში დაბრუნდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი თავის მშობლიურ მიწაზე, დებრეცენში, ფაქტიურად პატიმრად იქცა. უნგრელ ხალხსაც წაართვეს თავისუფლება.

ძმა უოლტერ კრაუსმა, რომელიც არ იცნობდა ძმა დენდორფერს, მიიღო დავალება – იყოს მისი შინა მასწავლებელი და რეგულარულად მოინახულოს იგი. ძმა კრაუსმა დაურეკა თავის მეწყვილე მასწავლებელს და უთხრა: „ჩვენ მივიღეთ დავალება მოვინახულოთ ძმა იოჰან დენდორფერი. შეგიძლია ამ კვირაში გამომყვე მასთან, რომ სახარების გზავნილი გავუზიაროთ?“ შემდეგ კი დააყოლა: „ძმა დენდორფერი უნგრეთში ცხოვრობს.“

მისმა გაკვირვებულმა კომპანიონმა იკითხა: „როდის მივემგზავრებით?“

„ხვალ“, მიუგო პასუხად ძმა კრაუსმა.

„როდის დავბრუნდებით სახლში?“ ჰკითხა მეწყვილემ.

ძმა კრაუსმა უპასუხა: „ალბათ ერთ კვირაში –საერთოდ თუ *დავბრუნდებით.*“

შინა მასწავლებელი და მისი მეწყვილე გაემგზავრნენ ძმა დენდორფერის მოსანახულებლად. ისინი მოგზაურობდენ გერმანიის ჩრდილო ნაწილიდან უნგრეთისკენ, ქ. დებრეცენში, მატარებლითა და ავტობუსით, რაც არ იყო მოკლე მანძილი. ძმა დენდორფერს ომის დაწყებიდან არ ჰყოლია შინა მასწავლებელი. ახლა, როცა მან ეს ღვთის მსახურები დაინახა, იგი მადლიერებით აღივსო. იმის ნაცვლად, რომ მათთვის ხელი ჩამოერთმია, იგი საძინებელში გაემგზავრა და პატარა უჯრიდან ყუთი ამოიღო. იქ მისი წლების მანძილზე შეგროვილი მეათედი ინახებოდა. მან შინა მასწავლებლებს მეათედი გადასცა და თქვა: „ახლა მე შევასრულე მეათედის ვალდებულება უფლის წინაშე. ახლა მე თავს ღირსეულად ვგრძნობ იმისთვის, რომ უფლის მსახურებს ხელი ჩამოვართვა.“ ძმა კრაუსმა მოგვიანებით მითხრა, რომ მას გული აუჩუყდა იმაზე ფიქრით, რომ ეს ერთგული ძმა, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში არ ჰქონდა ეკლესიასთან არანაირი კავშირი, მორჩილად და თანმიმდევრულად იხდიდა თავისი მწირი შემოსავლის 10 პროცენტს, რათა მეათედი გადაეხადა. მან ის შეინახა და არც კი იცოდა, ექნებოდა თუ არა გადახდის საშუალება.

ძმა უოლტერ კრაუსი გარდაიცვალა ცხრა წლის წინ, 94 წლის ასაკში. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად და მორჩილად მსახურობდა და როგორც ჩემთვის, ასევე სხვებისთვის შთამაგონებელი მაგალითი იყო. როდესაც კი დავალებას მისცემდნენ, იგი არასდროს არ ქმნიდა პრობლემას, არ ბუზღუნებდა, არ იმართლებდა თავს.

ჩემო დებო და ძმებო, ამ ცხოვრების უდიდესი გამოცდა არის მორჩილება. უფალმა თქვა, რომ გამოგვცდიდა, რათა ენახა, გავაკეთებდით თუ არა ყველაფერს ისე, როგორც მან გვიბრძანა.[10]

უფალმა განაცხადა, რომ

ყველანი, ვისაც სურს უფლისგან დალოცვა, უნდა დაემორჩილონ იმ კანონსა და პირობებს, რომლებიც დანიშნულ იქნა ამ დალოცვისთვის, რომლებიც დაწესდა სამყაროს დასაბამიდან.[11]

არ არსებობს ჩვენს მხსნელზე დიდი მორჩილების მაგალითი. პავლე მოციქული ასე მოიხსენიებს მას:

„და თუმცა ძე იყო, მან ტანჯვის მეოხებით ისწავლა მორჩილება;

„და იგი სრულქმნილი, საუკუნო ხსნის მიზეზი შეიქმნა ყველა მისი მორჩილისათვის.“[12]

მხსნელმა გამოამჟღავნა ღვთის გულწრფელი სიყვარული იმით, რომ სრულყოფილად ცხოვრობდა და თავის წმინდა მისიას ასრულებდა. იგი არასდროს არ იყო მედიდური, ქედმაღალი ან არაერთგული. იგი ყოველთვის თავმდაბალი, გულწრფელი, მორჩილი იყო.

თუმცა ტყუილის მეუფემ შეეცადა მისი ცდუნება, თვით ეშმაკმა; მიუხედავად იმისა, რომ იყო 40 დღის და ღამის მარხვით დასუსტებული, „იყო შემდეგ მშიერი"; მაინც, როდესაც ბოროტმა სცადა იესოს შეცდენა, ყველაზე მაცდური შეთავაზებებით, მან ჩვენ მოგვცა მორჩილების ღვთიური მაგალითი, როდესაც უარი თქვა იმის უარყოფაზე, რაც იცოდა, რომ იყო ჭეშმარიტება.[13]

როდესაც მან განიცადა აგონია გეთსიმანიის ბაღში და ისეთი ტკივილი აიტანა, რომ „გახდა მისი ოფლი, როგორც სისხლის მსხვილი წვეთები, რომლებიც მიწაზე ცვიოდა,“[14] მან განასახიერა მორჩილი ძე, როდესაც თქვა: „მამაო! თუ გსურს, ამაცდინე ეს სასმისი, მაგრამ ჩემი ნება კი არა, შენი იყოს."[15]

მხსნელმა ურჩია თავის ადრეულ მოციქულებს და იგი გვირჩევს მეც და თქვენც: „მომყევით მე.“[16] მზად ვართ, რომ დავემორჩილოთ?

ცოდნა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, პასუხები, რომლებსაც ჩვენ ასე ველით და ძალა, რომელიც გვსურს იმისთვის, რომ გავუმკლავდეთ მთელ რიგ სირთულეებს და ცვალებად სამყაროს, მოგვეცემა ჩვენ, თუკი საკუთარი ნებით დავემორჩილებით უფლის მცნებებს. მე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ უფლის სიტყვებს: ის, ვინც იცავს მცნებებს, მიიღებს ჭეშმარიტებასა და სინათლეს, მანამ, სანამ არ განდიდდება ჭეშმარიტებაში და არ ეცოდინება ყველაფერი.[17]

მე მორჩილად ვლოცულობ იმაზედ, რომ ჩვენ დავილოცოთ იმ უამრავი ჯილდოთი, რომელიც დაპირებულია მორჩილთათვის. იესო ქრისტესი, ჩვენი უფლისა და მხსნელის სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. "Oh Say, What Is Truth?" *ჰიმნები,* 272.
2. იხ. მოძღვრება და აღთქმები 93:24, 26–28.
3. 1 მეფეთა 15:22 .
4. იხ. მოძღვრება და აღთქმები 64:34.
5. იხ. 1 ნეფი 3:7 .
6. დაბადება 22:12.
7. დაბადება 22:18.
8. ჯოზეფ ფ. სმითი,"Discourse," Deseret News, ნოემბერი 12, 1873, 644.
9. გორდონ ბ. ჰინკლი, "If Ye Be Willing and Obedient," *Ensign,* დეკემბერი 1971, 125.
10. იხ. აბრაამი 3:25.
11. იხ. მოძღვრება და აღთქმები 132:5.
12. ებრაელთა 5:8–9.
13. იხ. მათე 4:1–11.
14. ლუკა 22:44.
15. ლუკა 22:42.
16. იოანე 21:22.
17. იხ. მოძღვრება და აღთქმები 93:28.

სადღეისო სწავლება

მეოთხე კვირის მელქიცედეკის მღვდლობისა და მოწყალების საზოგადოების გაკვეთილები უნდა მიეძღვნას „სადღეისო სწავლებას“. ყოველი გაკვეთილი შეიძლება მომზადდეს სულ ბოლოს ჩატარებული გენერალური კონფერენციის მასალების გამოყენებით (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი). პალოსა და ოლქის პრეზიდენტებს შეუძლიათ თავად აირჩიონ გამოსვლა ან მისცენ ეს დავალება ეპისკოპოსებსა ან მრევლის პრეზიდენტებს. ხელმძღვანელებმა ხაზი უნდა გაუსვან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ მელქიცედეკის მღვდლობის ძმებმა და მოწყალების საზოგადოების დებმა შეისწავლონ იგივე გამოსვლები იმავე კვირას.

ისინი, ვინც მეოთხე კვირის გაკვეთილებს ესწრებიან, უნდა გავამხნევოთ შეისწავლონ და გაკვეთილზე მოიტანონ ჟურნალებში გამოქვეყნებული ბოლო კონფერენციის მასალები.

რჩევები კონფერენციის მასალებით გაკვეთილების მოსამზადებლად

ილოცეთ მასზედ, რომ თქვენი კონფერენციების მასალების შესწავლისა და გადმოცემის დროს, სული წმინდა თქვენთან იმყოფებოდეს. შესაძლოა გაგიჩნდეთ ცდუნება მოამზადოთ გაკვეთილი სხვა მასალების გამოყენებით, მაგრამ კონფერენციის გამოსვლები მოწონებულია სასწავლო პროგრამით. თქვენი დავალებაა დაეხმაროთ სხვებს ისწავლონ სახარება და იცხოვრონ მისი პრინციპების მიხედვით ისე, როგორც ეს გვასწავლეს ეკლესიის ბოლო გენერალურ კონფერენციაზე.

განიხილეთ გამოსვლები, ეძიეთ მათში ის პრინციპები და სწავლებანი, რომლებიც აკმაყოფილებენ მსმენელთა მოთხოვნილებებს. მოიძიეთ მოთხრობები, წმინდა წერილების ნაწყვეტები და გამოსვლებიდან ის მტკიცებულებანი, რომლებიც დაგეხმარებათ ამ ჭეშმარიტებების სწავლებაში.

თქვენთვის შეადგინეთ გეგმა, თუ როგორ ასწავლოთ პრინციპები და მოძღვრება. ჩართეთ შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება მოწაფეებს:

- გამოსვლებში ეძიონ პრინციპები და მოძვღრება.
- იფიქრონ მათ მნიშვნელობაზე.
- გაუზიარონ სხვებს იდეები, გამოცდილება და დამოწმებანი.
- მოარგონ ეს პინციპები და მოძღვრება მათ ცხოვრებას.

თვეები, რომლებშიც გაკვეთილები ტარდება	მეოთხე კვირის გაკვეთილის მასალა
აპრილი 2012–ოქტომბერი 2013	გამოსვლები 2013 წ. აპრილის გენერალურ კონფერენციაზე *
ოქტომბერი 2013–აპრილი 2014	გამოსვლები 2013 წ. ოქტომბრის გენერალურ კონფერენციაზე *

** აპრილისა და ოქტომბრის მეოთხე კვირის გაკვეთილებისთვის შეგიძლიათ ამოირჩიოთ გამოსვლები წინა ან ბოლო კონფერენციიდან. ეს გამოსვლები მრავალ ენაზე შეგიძლიათ ნახოთ conference.lds.org.*

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი: *First Presidency Message, May 2013.* Georgian.10665 131

პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი

„მოდით ჩემთან“

თავისი სიტყვებითა და საქციელით, ქრისტემ გვაჩვენა, როგორ მივუახლოვდეთ მას.

მე მადლიერი ვარ იმისთვის, რომ ვარ დღეს თქვენთან ამ უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის კონფერენციაზე. ეს მისი ეკლესიაა. ჩვენ ვიღებთ საკუთარ თავზე მის სახელს მაშინ, როცა შევდივართ მის სასუფეველში. იგი არის ღმერთი, შემქმნელი და არის სრულყოფილი. ჩვენ ვართ მიწიერი ადამიანები, ცოდვილნი და მომკვდავნი და მაინც, მის ჩვენსა და ჩვენი ოჯახისადმი სიყვარულში იგი გვიწვევს თავისთან ახლოს. მან თქვა, რომ თუ მას მივუახლოვდებით, იგიც ჩვენთან ახლოს მოვა; თუ მას ბეჯითად ვეძიებთ – ვიპოვით მას; თუ ვთხოვთ – მივიღებთ და თუ დავაკაკუნებთ – გაგვეღება კარი.[1]

ამ აღდგომის დროს გვახსენებენ იმას, თუ რატომ გვიყვარს ჩვენ იგი და იმ დაპირებას, რომლის მიხედვითაც მისი ერთგული მოწაფეები გადაიქცევიან მის საყვარელ მეგობრებად. მხსნელი დაგვპირდა ამას და გვითხრა, თუ როგორ მოდის იგი ჩვენთან მისადმი მსახურების პროცესში. ერთ-ერთი მაგალითი არის გამოცხადება ოლივერ კაუდერისთვის, იმ დროს, როცა იგი წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითთან ერთად ემსახურებოდა უფალს მორმონის წიგნის თარგმნისას. მას უთხრეს: აჰა, შენ ხარ ოლივერი, და მე დაგელაპარაკე შენი სურვილის გამო; ასე რომ, დაიუნჯე ეს სიტყვები გულში. იყავი ერთგული და ბეჯითი ღვთის მცნებების დაცვაში და მე მოგეხვევი სიყვარულის ხელებით.[2]

ყველაზე ხშირად მე მქონია უფალთან მიახლოვებისა და მისი ჩემთან ახლოს მოსვლის გამოცდილება, მისი მცნებების დაცვის მიმართ მორჩილების უბრალო ქმედებების დროს.

თვენ გქონიათ მსგავსი გამოცდილებები. ეს შეიძლება მომხდარიყო მაშინ, როცა თქვენ გააკეთეთ არჩევანი – დაესწროთ ზიარების შეკრებას. მე ეს გამოვცადე კვირა დღეს, როცა ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. იმ დღეებში ჩვენ ზიარებაზე საღამოობით მივდიოდით. ერთი დღის გამოცდილება, რომელიც 65 წლის წინ მოხდა და ახლაც მახსოვს, როცა დავიცავი მცნება – შევიკრიბო ოჯახთან და წმინდანებთან ერთად, ეხლაც მაახლოვებს მხსნელთან.

გარეთ ბნელოდა და ციოდა. მე მახსოვს სინათლისა და სითბოს გრძნობა იმ საღამოს სამლოცველოში, როცა მე იქ ჩემს მშობლებთან ერთად ვიმყოფებოდი. ჩვენ მივიღეთ აარონის სამღვდელოების მიერ დარიგებული ზიარება, იმავდროულად დავდეთ მამაზეციერთად აღთქმა, რომ ყოველთვის გვემახსოვრება მისი ძე და დავიცავთ მის მცნებებს.

შეკრების ბოლოს ჩვენ ვიმღერეთ ჰიმნი “Abide with Me; ’Tis Eventide,” სადაც არის ასეთი სიტყვები: „უფალო, დარჩი ამაღამ ჩემთან.“[3]

მე იმ ღამეს ვიგრძენი მხსნელის სიყვარული,სიახლოვე და სულიწმინდის ნუგეშიც ვიგრძენი.

მე მინდოდა კიდევ ერთხელ გამეღვივებინა მხსნელის სიყვარულისა და მის სიახლოვის ის გრძნობა, რომელიც მაშინ, ახალგაზრდობისას, იმ ზიარების შეკრებაზე მქონდა. ასე რომ, მე სხვა მცნებასაც ვიცავდი – წმინდა წერილებს ვიკვლევდი. მე ვიცოდი, რომ ამით სული წმინდა მაგრძნობინებდა იმას, რაც აღმდგარი უფლის ორმა მოწაფემ განიცადა, როცა მან მათი მოწვევა მიიღო – მისულიყო მათთან სახლში და დარჩენილიყო მათთან.

მე წავიკითხე მისი ჯვარცმისა და დაკრძალვის მესამე დღის მოვლენების შესახებ. ერთგულ ქალბატონებს და სხვა ადამიანებს, სამარხის ქვა გვერდზე მიგორებული დახვდათ და მისი

სხეული იქ აღარ იმყოფებოდა. ისინი იქ მისადმი სიყვრულმა მიიყვანათ, რათა ზეთი ეცხოთ მისი სხეულისთვის.

ორი ანგელოზი იდგა მახლობლად და მათ ჰკითხეს მოსულებს, რატომ შეშინდნენ:

„რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებს შორის?

„არ არის აქ, არამედ აღდგა. გაიხსენეთ, რას გეუბნებოდათ, როცა ჯერ კიდევ გალილეაში იყო,

„რომ ძე კაცისა ცოდვილ კაცთა ხელით უნდა გადაეცეს, ჯვარს ეცვას და მესამე დღეს აღდგესო.“[4]

მარკოზის სახარებაში ერთ-ერთი ანგელოზი გვაძლევს მითითებას: „მაგრამ წადით, უთხარით მის მოწაფეებს და პეტრეს: აჰა, წინ მიგიძღვით იგი გალილეისაკენ. იქ ნახავთ მას, როგორც ნათქვამი აქვს თქვენთვის.“[5]

მოციქულები და მოწაფენი შეიკრიბნენ იერუსალიმში. ისევე, როგორც ჩვენ შეგვეშინდებოდა, მათაც ეშინოდათ და უკვირდათ მისი სიკვდილისა და აღდგომის ამბავი.

ორი მოწაფე იმ ღამეს იერუსალიმიდან ემაუსის გზაზე მიდიოდა. აღმდგარი ქრისტე მოევლინათ მათ გზაზე და მათ გვერდით მიდიოდა. უფალი მივიდა მათთან.

ლუკას სახარება მათ კვალზე გვატარებს:

„ამ ლაპარაკში და მსჯელობაში რომ იყვნენ, თავად იესო მიუახლოვდა და დაემგზავრა მათ.

„მაგრამ თვალები დაბმული ჰქონდათ და ვერ იცნეს იგი.

„უთხრა მათ: რაზე მსჯელობდით გზაზე ერთმანეთში? ისინი შეჩერდნენ დაღონებულნი.

„მიუგო ერთმა მათგანმა, სახელად კლეოპამ და უთხრა მას: ნუთუ ერთი შენა ხარ უცხო იერუსალიმში, რომ არ იცი, რაც იქ ამ დღეებში მოხდა?“[6]

მათ მოუთხრეს მას თავიანთი მწუხარების შესახებ, რომ იესო მოკვდა, მათ კი სჯეროდათ, რომ იგი ისრაელის გამომსყიდველი იქნებოდა.

ალბათ აღმდგარი უფლის ხმაში სიყვარული იგრძნობოდა, როცა იგი ამ ორ დამწუხრებულ და მგლოვიარე მოწაფეს ესაუბრებოდა:

„მან უთხრა მათ: ჰოი, უგუნურნო და გულით მძიმენო, ყველაფრის იმის სარწმუნებლად, რასაც წინასწარმეტყველები ამბობდნენ!

„განა ასე არ უნდა დატანჯულიყო ქრისტე და შესულიყო თავის დიდებაში?

„და დაიწყო მოსედან და ყველა წინასარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ ყოველ წერილში მასზე ნათქვამს.”[7]

მერე მოხდა ის, რაც ბავშვობიდან გულს მითბობს:

„მიუახლოვდნენ იმ სოფელს, სადაც მიდიოდნენ, ის კი თითქოს გაგრძელებას აპირებდა.

„მაგრამ ისინი აკავებდნენ მას და ეუბნებოდნენ: დარჩი ჩვენთან, ვინაიდან დღე უკვე მიიწურა და მწუხრი ჩამოდგა. ისიც შევიდა, რომ დარჩენილიყო მათთან“.[8]

მხსნელმა იმ ღამეს მიიღო მოწვევა– მივიდეს თავის მოწაფეების სახლში ემაუსის სოფელთან ახლოს.

იგი მათთან სატრაპეზოდ დაჯდა. აიღო პური, დალოცა, დაამტვრია და მათ მისცა. მათ თვალები აეხილათ, რათა ეცნოთ იგი. შემდეგ ის გაქრა. წმ. ლუკამ ჩაიწერა ჩვენთვის ამ დალოცვილი მოწაფეების გრძნობები: „და მათ უთხრეს ერთმანეთს: განა არ გიზგიზებდა ჩვენი გული ჩვენში, როცა გზაში გველაპარაკებოდა და როცა წერილებს განგვიმარტავდა?“[9]

იმავე დროს ორი მოწაფე საჩქაროდ დაბრუნდა უკან იერუსალიმში, რათა ეთქვათ თერთმეტი მოციქულისთვის, რაც მოხდა. მაგ დროს მათ ისევ უფალი მოევლინათ.

მან გაიმეორა თავის მისიასთან დაკავშირებული წინასწარმეტყველებები, რომ მას უნდა გამოესყიდა თავისი მამის ყოველი შვილის ცოდვები და გაეწყვიტა სიკვდილის კვანძი.

„და უთხრა მათ: ასე სწერია, რომ ქრისტე უნდა დაიტანჯოს და მკვდრეთით აღდგეს მესამე დღეს;

„და მისი სახელით ნაქადაგები უნდა იყოს მონანიება ცოდვათა მისატევებლად ყველა ხალხში, იერუსალიმიდან მოყოლებული.

„თქვენ კი ამის მოწმენი ხართ.“[10]

მხსნელის სიტყვები ჩვენთვის ისევე ჭეშმარიტია დღეს, როგორც ისინი მაშინ, მისი მოწაფეებისთვის იყო. ჩვენ ამ ყველაფრის მოწმენი ვართ. და ის დიდებული დავალება, რომელიც ჩვენ მივიღეთ, როცა მოვინათლეთ უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრად, საუკუნეების წინ გაგვიმარტა წინასწარმეტყველმა ალმამ მორმონის წყლებთან, როცა მან უთხრა მათ,

რომ ის მორმონის წყლები იყო და რადგან მათ სურდათ, მისულიყვნენ ღვთის ფარაში და დარქმეოდათ მისი ხალხი და მზად იყვნენ ეტარებინათ ერთმანეთის ტვირთი, რათა შეემსუბუქებინათ იგი.

და მზად იყვნენ ეგლოვათ მგლოვიარეებთან ერთად და ენუგეშათ ისინი, ვისაც ნუგეში ესაჭიროებოდა და იყვნენ ღმერთის მოწმენი ყოველ ჟამს და ყველაფერში, სადაც არ აღმოჩნდებოდნენ, სიკვდილამდეც კი, რათა შეძლოთ იყოთ გამოსყიდულნი ღმერთისგან და აღენუსხათ მათ რიცხვში, ვინც პირველად აღსდგება, რომ იქონიოთ მარადიული ცხოვრება.

და თუ ეს იყო მათი გულების სურვილი, მაშინ რა უნდა ჰქონოდათ უფლის სახელით ნათლობის საწინააღმდეგოდ, როგორც ნიშანი იმისა, რომ დადეს მასთან აღთქმა, რომ ემსახურებოდნენ მას და დაიცავდნენ მის მცნებებს, რომ მან შეძლოს უხვად

გადმოეღვარა თავისი სული მათზედ.

და როცა ხალხმა გაიგო ეს სიტყვები, მათ სიხარულისგან ტაში დაუკრეს და წამოიძახეს, რომ ეს იყო მათი გულის წადილი.[11]

ჩვენ, ჩვენი აღთქმის თანახმად, გვევალება, როგორც გაჭირვებულების ამაღლება, ასევე ის, რომ ვიყოთ მხსნელის მოწმენი სიცოცხლის ბოლომდე.

ჩვენ შევძლებთ ამის კეთებას მხოლოდ მაშინ, როცა ვგრძნობთ მხსნელის მიმართ სიყვარულს და მის ჩვენდამი სიყვარულს. როცა ჩვენ ერთგულნი ვართ საკუთარი დაპირებებისა, ჩვენ ვიგრძნობთ მის მიმართ სიყვარულს, რომელიც გაიზრდება, რადგან ჩვენ ვიგრძნობთ მის ძალასა და ჩვენს მისადმი მსახურებისას, ჩვენთან დაახლოვებას.

პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა ბევრჯერ შეგვახსენა უფლის დაპირება თავისი ერთგული მოწაფეებისადმი: ვინც შენ მიგიღებს, მეც იქ გავჩნდები, რადგან შენზე წინ ვივლი. მე ვიქნები შენს მარჯვენა და მარცხენა მხარეს, და ჩემი სული იქნება თქვენს გულებში, ჩემი ანგელოზები იქნებიან შენს თავს გარშემორტყმულნი, რათა მხარში ამოგიდგნენ.[12]

არსებობს მეორე გზა იმისთვის, რომ მე და თქვენ ვიგრძენით, როგორ გვიახლოვდება იგი ჩვენ. როცა ჩვენ მას ერთგულად ვემსახურებით, იგი უახლოვდება ჩვენი ოჯახის საყვარელ წევრებს. ყოველთვის, როცა უფლის მიერ მსახურებაზე ვიყავი მოწვეული და საამისოდ ჩემი ოჯახი უნდა სხვა ადგილას გადასულიყო ან მე ისინი დროებით უნდა დამეტოვებინა, ვრწმუნდებოდი იმაში, რომ უფალი ლოცავდა ჩემს ცოლ-შვილს. მან მოამზადა თავისი მოსიყვარულე მსახურები და იმის საშუალებები, რომ ჩემი ოჯახი მიუახლოვდეს მას.

თქვენც გიგრძვნიათ მსგავსი კურთხევები თქვენს ცხოვრებაში. მრავალ თქვენთაგანს ჰყავს საყვარელი ადამიანები, რომლებიც ჩამოსცილდნენ მარადიული ცხოვრების გზას. თქვენ ფიქრობთ იმაზე, რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისთვის, რომ დააბრუნოთ ისინი. თქვენ შეგიძლიათ მიენდოთ უფალს, როცა ერთგულად ემსახურებით მას, იმისთვის, რომ დაუახლოვდეთ მათ.

თქვენ გახსოვთ უფლის დაპირება ჯოზეფ სმითისა და სიდნი რიგდონისთვის, როცა ისინი მისი დავალებების შესასრულებლად ოჯახებისგან შორს იყვნენ: „ჩემო მეგობრებო სიდნი და ჯოზეფ, თქვენი ოჯახები კარგად არიან; ისინი ჩემს ხელთ არიან და მე მათთვის მოვახდენ იმას, რაც ჩემს თვალში მათთვის სასიკეთოა; რადგან ჩემშია მთელი ძალა.“[13]

ისევე, როგორც ალმა და მეფე მოსია, ზოგი ერთგული მშობელიც დიდხანს და კარგად ემსახურებოდა უფალს, თუმცა ჰყავდა შვილები, რომლებიც დაეხეტებოდნენ მათი მშობლების უფლისადმი მსხვერპლის გაღების მიუხედავად. მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ, ერთგული და მოსიყვარულე მეგობრების დახმარებაც კი გამოიყენეს, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია.

ალმა და მისი დროის წმინდანები ლოცულობდნენ მისი და მეფე მოსიას შვილებზე. ანგელოზი მოვიდა. თქვენი და მათი ლოცვები, ვინც ამჟღავნებენ თავიანთ რწმენას, მოიყვანენ უფლის მსახურს თქვენი ოჯახის დასახმარებლად. ისინი დაეხმარებიან მათ, აირჩიონ ღმერთთან დასაბრუნებელი გზა, მაშინაც კი, როცა მათ სატანა და მისი მიმდევრები უტევენ, რამეთუ მათი მიზანია –ოჯახების დანგრევა ამ ქვეყნად და მარადისობაში.

თქვენ გახსოვთ ალმა უმცროსისა და მოსიას შვილებისათვის მათი ჯანყის დროს ანგელოზის მიერ ნათქვამი სიტყვები. ანგელოზმა უთხრა მათ, რომ უფალმა შეისმინა თავისი ხალხის და თავისი მსახურის, ალმას, ლოცვები; რადგან იგი ლოცულობდა დიდი რწმენით მისი გულისთვის, რათა შეძლებოდა მოსულიყო ჭეშმარიტების ცოდნამდე; ამ მიზნით მოვიდა ანგელოზი, რომ დაარწმუნოს იგი ღვთის ძალასა და უფლება-მოსილებაში, რომ მისმა მსახურებმა მიიღონ ლოცვებზე პასუხი მათსავე რწმენის შესაბამისად[14]

მათ, ვინც ლოცულობენ და ემსახურებიან უფალს, მე ვერ დავპირდები იმას, რომ თავისთვის და თავიანთი ოჯახისთვის მიიღებენ მათთვის ყოველ სასურველ დალოცვას. მაგრამ მე შემიძლია დაგპირდეთ, რომ მხსნელი მოგიახლოვდებათ და თქვენც და თქვენს ოჯახს დალოცავს იმით, რაც თქვენთვის საუკეთესოა. თქვენ გექნებათ მისი სიყვარულის ნუგეში და იგრძნობთ მასთან მიახლოვებას, როცა მსახურებაში სხვებს გაუწვდით ხელს. როცა გაჭირვებულებს ჭრილობებს შეუხვევთ და მათ, ვინც ცოდვის გამო იტანჯებიან, მხსნელის გამოსყიდვის განწმენდას შესთავაზებთ, თქვენ უფლის ძალა დაგეხმარებათ. მისი ხელები თქვენს ხელებთან ერთად გაწვდილია ჩვენი მამაზეციერის შვილების, ასევე თქვენი ოჯახის წევრებისთვის დახმარებისა და დალოცვისთვის.

ჩვენთვის დიდებული დახვედრაა მომზადებული. მაშინ დავინახავთ ჩვენთვის საყვარელი უფლის დაპირების შესრულებას. იგი არის ის, ვინც გვეგებება მარადიულ ცხოვრებაში მასთან და მამაზეციერთან ერთად. იესო ქრისტემ გვითხრა, რომ

უნდა გამოვავლინოთ და დავაარსოთ მისი სიონი და ყველაფერში დავიცვათ მისი მცნებები.

და თუ დავიცავთ მის მცნებებს და ბოლომდე გავძლებთ, ჩვენ მივიღებთ მარადიულ ცხოვრებას, რაც ღვთის ძღვენებს შორის ყველაზე დიდი ძღვენია.[15]

ისინი, ვინც ცხოვრობენ, დაიმკვიდრებენ დედამიწას, ისინი,

ვინც მოკვდებიან– დაისვენებენ თავიანთი შრომისგან და მათი საქმენი მათ მიჰყვებათ და ისინი მიიღებენ მამის სასუფეველში გვირგვინს, რომელიც მან მოუმზადა მათ.[16]

მე ვმოწმობ, რომ ჩვენ სული წმინდის მეშვეობით შეგვიძლია მივყვეთ მამაზეციერის მოწვევას: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, უსმინე მას!“[17]

თავისი სიტყვებითა და მაგალითით ქრისტემ გვაჩვენა, თუ როგორ მივუახლოვდეთ მას. მამაზეციერის ყოველი შვილი, რომელმაც გააკეთა არჩევანი – შევიდეს ნათლობის კარით მის ეკლესიაში, ამ ცხოვრებაში მიიღებს იმის საშუალებას, რომ ისწავლოს მისი სახარება და მოისმინოს მის მიერ არჩეული მსახურებისგან მოწვევა: „მოდით ჩემთან.“[18]

ყოველი მისი მსახური, რომელსაც აღთქმა აქვს დადებული უფალთან აქაც, დედამიწაზე, მის სასუფეველში და სულიერ სამყაროშიც, სულიწმინდის მეშვეობით მიიღებს მის დარიგებას მაშინ, როცა სხვებს ლოცავს და მსახურებას უწევს მის გამო და ისინი იგრძნობენ მის სიყვარულს და იპოვიან სიხარულს მასთან მიახლოვების პროცესში.

მე ვარ უფლის აღდგომის მოწმე, თითქოს მე ვიყავი იქ იმ საღამოს ორ მოწაფესთან ერთად ემაუსის გზაზე. მე ვიცი, რომ იგი ცოცხლობს, ისევე, როგორც ეს იცოდა ჯოზეფ სმითმა, როცა მან იმ მშვენიერ დილას პალმირას ტყეში სინათლის სვეტში იხილა მამა და ძე.

ეს არის იესო ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია. მხოლოდ მღვდლობის გასაღებებში, რომლებსაც ფლობს პრეზიდენტი თომას ს. მონსონი, მოიპოვება ჩვენთვის ძალა– ჩავიბეჭდოთ ოჯახებთან ერთად მარადიული ცხოვრებისთვის, მამაზეციერთან და უფალ იესო ქრისტესთან ერთად. ჩვენ განკითხვის დღეს წარვდგებით უფლის წინაშე. ეს იქნება სიხარულის ჟამი მათთვის, ვინც ამ ცხოვრებაში დაუახლოვდა მას მსახურებით. რა სიხარული იქნება, მოისმინო მისი სიტყვები: „კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ.“[19] მე ვმოწმობ, როგორც აღმდგარი მხსნელისა და გამომსყიდველის მოწმე, იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. იხ. მოძღვრება და აღთქმები 88:63.
2. იხ. მოძღვრება და აღთქმები 6:20.
3. “Abide with Me; ’Tis Eventide,” *ჰიმნები,* no. 165.
4. ლუკა 24:5–7.
5. მარკოზი 16:7.
6. ლუკა 24:15–18.
7. ლუკა 24:25–27.
8. ლუკა 24:28–29.
9. ლუკა 24:32.
10. ლუკა 24:46–48.
11. იხ. მოსია 18:8–11
12. იხ. მოძღვრება და აღთქმები 84:88.
13. იხ. მოძღვრება და აღთქმები 100:1.
14. იხ. მოსია 27:14.
15. იხ. მოძღვრება და აღთქმები 14:6–7.
16. იხ. მოძღვრება და აღთქმები 59:2.
17. იხ. ჯოზეფ სმითი—ისტორია 1:17–17.
18. მათე 11:28.
19. მათე 25:21.

© 2013 Intellectual Reserve, Inc.ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი *Visiting Teaching Message, May 2013.* Georgian. 10665 131